კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

# საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.constcentre.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 25 ნოემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი
www.constcentre.gov.ge

## გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
14.29%
80.00%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
20.00%
19.50%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40.00%
31.75%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
26.92%
29.36%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
14.29%
31.67%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
14.29%
19.00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0.00%
0.00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0.00%
0.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0.00%
0.00%
0.00%
50.00%
100.00%

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:**

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

**1.**ვებ-გვერდზე არ არის მოცემული ცენტრის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის კომპეტენციის აღწერა, აგრეთვე, მათი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ცენტრის ხელმძღვანელი“ და „მოადგილე“, სადაც განთავსდება მათ შესახებ შესაბამისი ინფორმაცია.

**3.** ცენტრის სრული დასახელება არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი“, ხოლო, ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სიზუსტით ზემოთხსენებული დასახელება:

ამასთან, არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, ცენტრის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება) და ცენტრის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

**4.** არ მოიძიება საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ცენტრის ფაქსის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი; სასურველია, აღნიშნული ინფორმაცია გადატანილ იქნეს მთავარ გვერდზე შესაქმნელ განყოფილებაში „კონტაქტი“ ან „დაგვიკავშირდით“ მომხმარებლისათვის საკონტაქტო ინფორმაციის მოძიების გაადვილების მიზნით:




**5.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების და განყოფილებების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება ცენტრის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

**6.** არ მოიძება, ცენტრის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ კი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასახელება და მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული:

**7.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდებოდა ცენტრის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

**8.** სასურველია, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „მიზნები და ამოცანები“ განთავსდეს ცენტრის მოქმედი დებულებით განსაზღვრული ცენტრის მიზნებისა და ამოცანების დეტალური აღწერა:



**მიზნები და ამოცანები**

ქვეყნის თანამედროვე, მდგრადი და სტაბილური განვითარების, დემოკრატიის, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ცივილური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ხელშეწყობა.

კონსტიტუციონალიზმის სფეროში სამეცნიერო კვლევებისა და საგანმანათლებლო პროგრამების პოტენციალისა და მნიშვნელობის გაზრდა, აგრეთვე კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში ჩართული და დაინტერესებული პირებისათვის სამეცნიერო საქმიანობაში მონაწილეობის ხელშეწყობა.

საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის ფუნქციებია.

პარლამენტის ფრაქციის, კომიტეტის ან პარლამენტის წევრის თხოვნით დასკვნის მომზადება პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე.

პარლამენტში ინიცირებული კონსტიტუციის გადასინჯვის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით შექმნილი  საორგანიზაციო კომისიის მუშაობის ხელშეწყობა.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

**9.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურის სქემატური აღწერა (სტრუქტურული ხე/ნახატი);
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი განყოფილებების ჩამონათვალი;

- არ მოიძება სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი განყოფილებების კომპეტენციის სფეროს, ძირითადი ამოცანების და ფუნქციების აღწერა;

- სრული სახით არ არის წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი განყოფილებების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კერძოდ, არ არის მოცემული ცენტრის სტრუქტურული ერთეულის - სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელის შესახებ აღნიშნული სახის ინფორმაცია:

- არ მოიძება სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი განყოფილებების ხელმძღვანელების კომპეტენციის აწერა, აგრეთვე, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: მისაღებების (თანაშემწეების) სამუშაო ელ.ფოსტები, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; (ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ წარმოდგენილია მხოლოდ საორგანიზაციო დეპარტამენტის დირექტორის სამუშაო ელ.ფოსტა:




- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი განყოფილებების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ შემდეგი თანამდებობის პირების მოცემულია მხოლოდ სახელები და გვარები და ფოტოსურათები, ხოლო შესაბამის ბმულზე გადასვლისას გახსნილი გვერდები ცარიელია, მაგ.:

- წამყვანი სპეციალისტი გოჩა სახეჩიძე:



**10.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სათათბირო სტრუქტურული ერთეულის - სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები და აგრეთვე, (ინფორმაციული ხასიათის ცნობები) და სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) (არსებობის შემთხვევაში).

ამასთან, ცენტრის მოქმედი დებულების მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ცენტრის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით სამეცნიერო საბჭოში შეიძლება მოწვეული იქნეს სხვა პირებიც; სასურველია, ვებ-გვერდზე წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია მოწვეული პირების შესახებ.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

**11.** ვებ-გვერდზე პროაქტიულად არ არის გამოქვეყნებული თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზა, სახელდობრ: არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს ვაკანსიებისა და ტენდერების შესაბამისი (ქვე-)განყოფილება), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ცენტრის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას, სტატისტიკური მონაცემები, გეგმები და პროგნოზები, პროგრამები და პროექტები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „საქართველოს კონსტიტუციური ისტორია“ განთავსებული პირველი და მეორე ბმული ცარიელია:



არსებულ განყოფილებაში სათაურად „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები“ განთავსებული პირველი ბმული - „საზღვარგარეთის ქვეყნების ისტორია“ ცარიელია:




არსებული განყოფილება სათაურად „კონსტიტუციონალიზმის დარბაზი“ ცარიელია:

არსებულ განყოფილებაში სათაურად „საერთაშორისო ურთიერთობები“ არსებული ქვე-განყოფილება „კონსტიტუციონალიზმის ცენტრები“ ცარიელია:




არსებულ განყოფილებაში სათაურად „საგანმანათლებლო საქმიანობა“ განთვსებული ბმულები - „ტრენინგები და სემინარები“, „კონსტიტუციონალიზმის სკოლა“ და „შეამოწმეთ თქვენი ცოდნა“ ცარიელია:



ცენტრის მოქმედი დებულების თანახმად ცენტრის ერთ-ერთ საქმიანობის მიზნად განსაზღვრულია სემინარების, კონფერენციების, ტრენინგებისა და კონსტიტუციონალიზმის საზაფხულო სკოლის მოწყობა. სასურველია აღნიშნული საქმიანობის შესახებ ცნობები განთავსდეს მოცემულ ქვე-განყოფილებაში სათაურად „ტრენინგები და სემინარები“.

აღნიშნული ხასიათის ერთადერთი ცნობა მოცემულია ცენტრის საქმიანობის ამსახველ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვებში, რაც სასურველია აგრეთვე დაემატოს ხსენებულ ქვე-განყოფილებას :

არსებული განყოფილება სათაურად „მასმედიასთან ურთიერთობები“ ცარიელია:




- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

**12.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის ხელმძღვანელ პირთა საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები, კერძოდ:

- არ მოიძება, ცენტრის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები;

- არ მოიძიება ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები:

26 ნოემბერი 2011

**საგანმანათლებლო პროექტი „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები“ 19 – 20 ნოემბერი**

19 და 20 ნოემბერს ბათუმს ისანი-სამგორის რაიონის საჯარო სკოლების ორმოცი მოსწავლე ესტუმრა. მოსწავლეებს მიესალმა კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის სამოქალაქო განათლებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის კონსტიტუციონალიზმის დარბაზის განყოფილების უფროსი ლალი ტაკიძე, რომელმაც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით მიმდინარე პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

დაწვრილებით...

21 ნოემბერი 2011

**საგანმანათლებლო პროექტი „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები“ 17 ნოემბერი**

17 ნოემბერს, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალურმა ცენტრმა, საგანმანათლებლო პროექტის „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები“ ფარგლებში, ქ. ბათუმის №15 საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა.

დაწვრილებით...

19 ნოემბერი 2011

**საგანმანათლებლო პროექტი „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები“ 16 ნოემბერი**

16 ნოემბერს, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალურმა ცენტრმა, საგანმანათლებლო პროექტის „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები“ ფარგლებში, ქ. ბათუმის №7 საჯარო სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა.

დაწვრილებით...

**13.** სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდება ცენტრის საქმიანობის ამსახველი როგორც წლიური, ასევე, მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები:

**14.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „სტატისტიკა“ სადაც განთავსდებოდა ცენტრის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომელებიც ასახავენ ცენტრის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათი განვითარების დინამიკას.

**15.** ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათი შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი.

**16.** სასურველია, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „მიმდინარე პროექტები“ განთავსდეს აგრეთვე:

- ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტების შესახებ ინფორმაცია;

- ისევე, როგორც მოცემულ განყოფილებაში არსებული პროექტების, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები და ცნობები ამავე პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ.

პროექტ **,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამოანთვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რელიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი, მოწოდებულ იქნა ინფორმაცია შემდეგი პროექტების შესახებ:

- „საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 90-ე წლისთავი“;
- „თანამშრომლობა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან“;
- „საქართველოს კონსტიტუციის პოპულარიზაცია“;
- „საზღვარგარეთის კონსტიტუციური სამართალი“
- „2009/2010 წლის კონსტიტუციური რეფორმა საქართველოში და კონსტიტუციონალიზმის განვითარება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“.

ამასთან, მოცემულ განყოფილებაში განთავსებული შემდეგი ბმულები ცარიელია:

- „საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის ასახვის ხელშეწყობა მოქმედ კანონმდებლობაში“:

- „საერთაშორისო სტუდენტური ოლიმპიადის ჩატარება“:

- „პროექტი „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები“:




- საზაფხულო სკოლა „კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები“:

**17.** ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ტენდერები“ , სადაც განთავსდებოდა ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია). *(პროექტ**„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების , პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

*http://www.opendata.ge/pdf_files/konstitucionalizmiscentri_shesyidvebi.pdf).*

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

**18**. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სამართლებრივი საფუძველი“ განთავსებულია ცენტრის დებულება ძველი მდგომარეობით:




ვებ-გვერდზე სასურველია, არსებობდეს (ქვე-)განყოფილება სათაურად „კანონმდებლობა“ ან „სამართლებრივი აქტები“ სადაც განთავსდება, ცენტრის საქმიანობის (მმართველობის)

სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და საქართველოს მინისტრის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში სასურველია, აგრეთვე მოიძიებოდეს ცენტრის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული ცენტრის საშტატო განრიგი შესაბამისი თანამდებობრივი სარგოების მითითებით; ცენტრის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები და ასევე, ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ინდივიდუალუ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები-ბრძანებები. აგრეთვე, სამართლებრივი აქტები - ცენტრის დებულება და შინაგანაწესი (რომელიც არ მოიძიება) სასურველია, მოიძიებოდეს განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებებში.

სასურველია, აღნიშნული (ქვე-)განყოფილებაში მოიძებოდეს აგრეთვე შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

**19.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა საჯარო დაწესებულებაში მიღების წესის აღწერა.

**20.** ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ცენტრში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

**21.** ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდაცენტრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე ცენტრსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

**22.** სასურველია, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე არსებობდეს ცალკეული (ქვე-)განყოფილება „ვაკანსიები", რომელშიც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ცენტრის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

**23.** ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული არანაირი სახის სახის ფინანსური ხასიათის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ცენტრის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
  *http://www.opendata.ge/pdf_files/konstitucionalizmiscentri_budget.pdf);*

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის 24 მაისის მდგომარეობით ცენტრის სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალ, (თანამდებობის პირთა ვინაობა (სახელი და გვარი) და თანამდებობის სახელწოდება), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/__tanamdebobispirebi_konstituciovalizmiscentri.pdf);*

- არ მოიძიება ცენტრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/xelfasipremia_konstitucionalizmis_centri.pdf);*

- არ მოიძიება სამსახურის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ

სამსახურისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

- არ მოიძიება ცენტრის სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე),ოფიციალურ და სამუშაო, მათ შორის საერთაშორისო, ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
  *http://www.opendata.ge/pdf_files/mivlineba_konstitucionalizmiscentri.pdf);*

- არ მოიძიება ცენტრის ავტოპარკის ხარჯების შესახებ ინფორმაცია;
  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე),ბალანსზე რიცხული ავტომანქანების პერსონალური გადანაწილების (მათ შორის ავტომანქანის მოდელი), საწვავის მოხმარებაზე გაწეული ფაქტობრივი ხარჯის, ყოველთვიური ზღვრული ლიმიტისა (მათ შორის საწვავის ტიპი) და ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთევა, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
  *http://www.opendata.ge/pdf_files/avtoparki_konstitucionalizmiscentri.pdf);*

- არ მოიძება ცენტრის საკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია;
  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომელთა მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (ზარები მობიულურ ოპერატორებთან, საერთაშორისო და ლოკალური ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-*

*გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
*http://www.opendata.ge/pdf_files/konctitucionalizmiscentri_sakomunikacio.pdf);*

- არ მოიძება ცენტრის სახელმწიფო ქონების შესახებ ინფორმაცია;
  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), 2011 წლის 24 მაისის მდგომარეობით, ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი და თითოეულის საბაზრო ღირებულება, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
  *http://www.opendata.ge/pdf_files/qoneba_kontitucionalizmiscentri.pdf);*

- არ მოიძიება ცენტრის მიერ დაფინანსებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), განხორციელებული კულტურული და სარეკლამო ხასიათის ღონისძებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
  *http://www.opendata.ge/pdf_files/konctitucionalizmiscentri_gonisdziebebi.pdf*).

*შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:*




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
11.11%
2. ძიება
0.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
11.76%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
20.00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
42.11%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14.29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0.00%
10. ელექტრონული სერვისები
18.18%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
0.00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
16.67%
0
0.1
0.2
0.3
0.4
0.5

- **ნავიგაცია**

საკმაოდ რთულია ვებ-გვერდის ნავიგაციაში გარკვევა და კიდევ უფრო რთულია მისი გამოყენება, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში შიდა მენიუ სრულად არ ჩანს, ზოგჯერ კი ჩანს:

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თუ ერთ-ერთი მენიუ პუნქტზე გვაქვს „მაუსი“ მიტანილი და მისი შიდა მენიუ ჩამოშლილია, შეუძლებელია მის დაბლა მყოფ მენიუზე „მაუსის“ მიტანა, რადგან იგი მას ფარავს, ამისთვის აუცილებელია ჯერ „მაუსი“ სხვა ადგილას გავწიოთ და შემდგ ხელახლა დავუმიზნოთ იმ კატეგორიას, რომლის შიდა მენიუც გვაინტერესებს.

ასეთი პრობლემები ვებ-გვერდს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ქონდეს, მითუმეტეს, რომ ეს პრობლემები ეხება ნავიგაციას;

ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში არსებობს ცარიელი ნავიგაციის ბლოკები:

- **ძიება**

ვებ გვერდს საერთოდ არ გააჩნია ძიების ფუნქცია;

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის პირველივე გვერდზე გამოყენებულია ისეთი ფონტი რომლის გარჩევა საკმაოდ რთულია:

ზოგადად ვებ-გვერდის დიზაინი გადატვირთულია და არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს:

ვებ-გვერდის სლაიდში განთავსებულია დაბალი რეზოლუციის სურათები:

ვებ-გვერდზე ატვირთულია ცარიელი ფაილები, ან შეიძლება დაზიანებული ფაილები, რომელსაც პროგრამა PDF reader-ი ვერ კითხულობს:



ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია ცარიელია:




ამავე დროს, ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში მხოლოდ ქართულენოვანი ბანერებია განთავსებული:

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდზე არსებობს კატეგორიები რომლებიც ცარიელია და მათზე არ არის განთავსებული არანაირი ინფორმაცია:

ასეთ შემთხვევებში, უნდა არსებობდეს შესაბამისი აღნიშვნა იმისა, რომ გვერდი ჯერ-ჯერობით მზადების პროცესშია;

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

სურათები დაპატარავებულია პროგრამული კოდის (HTML/CSS) მეშვეობით რის გამოც გართულებულია ვებ-გვერდის ჩატვირთვა. მაგ. ვებ-გვერდზე სურათები გამოიყურება შემდეგი ზომით:

ხოლო სინამდვილეში კი ყველა სურათი არის ბევრად დიდი რეზოლუციის:




ვებ-გვერდს არ აქვს სათაური (Document Title) რის გამოც საძიებო სისტემებში არ არის სათანადო პოზიციაზე:



```
<html xmlns="http://www.w3.
<head>
<meta http-equiv="Content-T
<title></title>
<style type="text/css">
```

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან ვებ-გვერდს არ გააჩნია;

**ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება:**

*უნდა აღინიშნოს, რომ ამ მომენტისათვის, 2011 წელს მონიტორინგს დაქვემდებარებულ 60 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდს შორის ცენტრი გამოირჩევა ერთ-ერთ ყველაზე ღარიბი ინფორმაციული შიგთავსით, რაზედაც მეტყველებს როგორც ზემოთ მოყვანილი შესაბამისი სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები, აგრეთვე ცენტრის ვებ-გვერდის დაბალი ჯამური რეიტინგი. შეიძლება ითქვას, რომ ამ მომენტისათვის დაინტერესებულ მომხმარებელთათვის ცენტრის საქმიანობის შესახებ ნორმალური წარმოდგენის შექმნა ვებ-გვერდის მეშვეობით თითქმის შეუძლებელია, რაც ძირითადად გამოწვეულია საკონტაქტო ინფორმაციის, სტრუქტურის, საკადრო უზრუნველყოფის, ნორმაშემოქმედებითი, ფინანსური ხასიათის და მისთ. ინფორმაციის არარსებობით ზემოთ აღწერილ პრობლემატიკაში.*